განახლებულია
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
N07/01-16 (20.09.2024) ბრძანებით

სტუდენტთა წახალისებისა და სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები

2024

სარჩევი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები....3
მუხლი 2. სწავლის სპეციალური საფასური....3
მუხლი 3. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები....7

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი (შემდგომში „წესი“) არეგულირებს კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა წახალისებისა და ხელშეწყობის მიზნით სწავლის სპეციალური საფასურის განსაზღვრის და ფინანსური შეღავათებით სარგებლობის პირობებს.

2. წინამდებარე წესით ასევე, განისაზღვრება სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

მუხლი 2. სწავლის სპეციალური საფასური

1. სწავლის სპეციალური საფასური დგინდება:

1.1. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის, რომლებიც ეროვნულ გამოცდებში მიღებული შემაჯამებელი სკალირებული ქულით პირველ (უმაღლეს) ხუთას ერთ (ტოპ 501) აბიტურიენტს შორის მოხვდებიან და კავკასიის უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს პირველ პრიორიტეტად აირჩევენ ისარგებლებენ სწავლის სპეციალური საფასურით - პროგრამის ღირებულება - „0“ ლარი. სწავლის სპეციალური საფასურით სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.

1.2. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის, რომლებიც უნივერსიტეტში ჩაირიცხებიან 100%-იანი, 70%-იანი სახელმწიფო გრანტით:

აბიტურიენტი, რომელიც კავკასიის შესაბამისი სკოლის რომელიმე საბაკალავრო პროგრამაზე გააკეთებს I არჩევანს და მოიპოვებს 100%-იან ან 70%-იან სახელმწიფო დაფინანსებას და გახდება უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი, სარგებლობს სწავლის სპეციალური საფასურით. სწავლის სპეციალური საფასური განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.

1.3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისათვის:

სტუდენტი, რომელიც ჩააბარებს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ისარგებლებს სწავლის სპეციალური საფასურით - პროგრამის ღირებულების 50%-ით, თუ აკმაყოფილებს შემდეგ ქვემოთ ჩამოთვლილ კუმულატიურ პირობებს:

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისას ნიშნების საშუალო შეწონილი (GPA) ჰქონდა 3.5-დან 4.0-მდე ან საერთო სამაგისტრო გამოცდაზე მიღებული შედეგი დააკმაყოფილებს შესაბამის წელს განსაზღვრულ დაფინანსების წინაპირობას, რაც გამოხატული იქნება მიღებული ქულების მინიმალური ნიშნულით, რაც შეიძლება იყოს პროცენტული მაჩვენებლი ან ქულების რაოდენობა.

- შესაბამისი სკოლის მიერ ჩატარებულ მისაღებ გამოცდაზე გადალახავს გამოცდის ჩაბარებისთვის დადგენილ მინიმალურ ზღვარს ან შეასრულებს სკოლის მიერ დადგენილ შესაბამის დავალებას და

- სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის შემდეგ, ყოველ აქტიურ სემესტრში დარეგისტრირდება მინიმუმ 3 კომპონენტზე (ეს პირობა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება, თუ უნივერსიტეტი შესაბამის სასწავლო სემესტრში ვერ უზრუნველყოფს სტუდენტისათვის მინიმუმ 3 (სამი) კომპონენტის შეთავაზებას ან სამაგისტრო პროგრამის შესაბამისად, სტუდენტს სემესტრში გასავლელი აქვს სამ კომპონენტზე ნაკლები) ისარგებლებს სწავლის სპეციალური საფასურით - პროგრამის ღირებულების 50%-ით. სწავლის სპეციალური საფასური განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო წლისთვის დამტკიცებული ტარიფების ბრძანებით.

1.4. სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებისთვის:

- სადოქტორო პროგრამაზე სწავლების პირველი აკადემიური წლის დასრულების შემდეგ, აკადემიური შედეგების საფუძველზე, მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამის, ეკონომიკის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამისა და საერთაშორისო ურთიერთობების სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ ფინანსური შეღავათი, კერძოდ პროგრამის ღირებულება 4,500 ლარის ოდენობით. ხოლო, სამართლის სადოქტორო პროგრამის სტუდენტებს ეძლევათ შესაძლებლობა მოიპოვონ ფინანსური შეღავათი, კერძოდ პროგრამის ღირებულება 13,500 (ცამეტი ათას ხუთასი) ლარი.

1.5. სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობებით სარგებლობა საბაკალავრო პროგრამის სტუდენტის აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე:

- საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს, მათი აკადემიური მოსწრებიდან გამომდინარე, შეუძლიათ ისარგებლონ სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობებით. თითოეულ სკოლაში, თითოეულ ეტაპზე ყოველწლიურად შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ სამი რეიტინგული სტუდენტი. დამამთავრებელი ეტაპის რეიტინგის გამოვლენა არ ხდება.
- რეიტინგი გამოითვლება თითოეული სკოლის პროგრამებზე რიცხული სტუდენტების ერთობლივი მონაცემების შესაბამისად. რეიტინგულად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტი თუ იგი აკმაყოფილებს „რეიტინგული სტუდენტების დაფინანსების წესი“-ს შესახებ დადგენილ მოთხოვნებს.

1.6. სამხედრო მოსამსახურეებისა და მათი ოჯახის წევრების (მეუღლე, შვილი) განათლების ხელშეწყობის მიზნით, კავკასიის უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, შეუძლიათ ისარგებლონ ფინანსური შეღავათით, სწავლის წლიური ღირებულების 50%-ით, მაგრამ არაუმეტეს 1125 ლარის ოდენობით (გადასახადებისა და საპენსიო შენატანის გარეშე).

1.7. სხვადასხვა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის:

1.7.1. სოციალურად მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელთათვის უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის შეღავათიანი პირობები. სტუდენტი, რომელიც არის სოციალურად დაუცველი და სახელმწიფოსაგან იღებს შესაბამის დაფინანსებას, უნივერსიტეტი სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებას უვადებს შესაბამისი უწყებიდან თანხის ჩარიცხვის თარიღამდე, ხოლო ამ პერიოდის განმავლობაში სტუდენტი თავისუფალია სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

1.7.2. სწავლის სპეციალური საფასური მოქმედებს შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:

- ქართული ეთნიკური წარმოშობის (ფერეიდნელი ქართველები, ლაზები, დეპორტირებული მესხები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა;
- სოციალურად დაუცველ პირებზე;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირზე, რომელიც დაავადებულია ქრონიკული დაავადებ(ებ)ით, საჭიროებს მუდმივ მედიკამენტოზურ მკურნალობას და მოკლებულია სრული დატვირთვით (შრომის კოდექსის შესაბამისად) შრომისუნარიანობას;
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებზე;
- ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლებზე;
- იძულებით გადაადგილებულ პირზე;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ პირებზე;

- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებ პირებზე;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებზე, მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ვეტერანებზე ან მათ შვილებზე.
- მრავალშვილიანი ოჯახის წევრებზე;
- ობოლ (უდედმამო) სტუდენტებზე;
- სტუდენტებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ;
- სტუდენტებზე, რომელთაც მოპოვებული აქვთ/ჰქონდათ რეპანტრიანტის სტატუსი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის კურსდამთავრებულებზე;
- უნივერსიტეტის პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, სხვა პირებზე.

1.7.3. 1.7.2. პუნქტით განსაზღვრულმა თითოეულმა პირმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი სახის დოკუმენტები (დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მათ სოციალურ მდგომარეობას და რომელსაც გასცემს შესაბამისი სახელმწიფო უწყება):

- სოციალურად დაუცველმა პირებმა - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული ცნობა „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში„ რეგისტრაციის თაობაზე, რომელიც გაცემული უნდა იყოს ცნობის უნივერსიტეტში წარმოდგენამდე არაუადრეს 1 თვისა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობასთან ერთად, საქართველოში ეროვნული უმცირესობების კომპაქტურად განსახლების მუნიციპალიტეტებში, რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (საინფორმაციო ბარათი);
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა - სამეციდინო სოციალური ექსპერტიზის შემოწმების აქტის ამონაწერი ფორმა N 50/II (ასლი) ;
- იძულებით გადაადგილებულმა პირებმა - იძულებით გადაადგილებული პირის - დევნილის მოწმობა;
- ქართული ეთნიკური წარმოშობის (ლაზები,დეპორტირებული მესხები,ფერეიდნელი ქართველები და სხვა) უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე, რომლებიც თავს მიიჩნევენ ქართული ეთნიკური წარმოშობის მქონედ და აქვთ ქართული გვარი ან ქართული ლინგვისტური იდენტობა - პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი და უცხოეთში მცხოვრებმა, უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა - თანამემამულის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მოქალაქის მოწმობა, პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;
- მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრებმა პირებმა - საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილებით განსაზღვრული რომელიმე მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად ცხოვრების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- მრავალშვილიანი ოჯახების წევრებმა - ცნობა ან რაიმე სახის სხვა დოკუმეტი, რომლითაც დადასტურდება 5 ან მეტი დის, ძმის ან და-ძმის ყოლის ფაქტი;
- ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის დაღუპულ პირთა შვილებმა/ოჯახის წევრებმა - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიერ გაცემული ცნობა, რომლითაც დასტუდება ტერიტორიული მთლიანობისთვის გარდაცვლილ პირთან ოჯახური კავშირი;

- ობოლმა (უდედმამო) სტუდენტებმა - დაბადების მოწმობა; დედ-მამის გარდაცვალების მოწმობები ან სასამართლო გადაწყვეტილება მშობლის/მშობლების გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ, ან დედის გარდაცვალების მოწმობა ან სასამართლო გადაწყვეტილება დედის გარდაცვლილად გამოცხადების შესახებ და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული დოკუმენტი რითაც დასტურდება, რომ სტუდენტის დაბადების აქტის ჩანაწერში მამის შესახებ მონაცემების შეტანის საფუძველი იყო დედის განცხადება.
- აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე პირებმა - ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;
- სტუდენტებმა, რომლებიც იმყოფებოდნენ სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს რომ პირი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვის ქვეშ.
- სტუდენტებმა, რომელთაც მოპოვებული აქვთ/ჰქონდათ რეპანტრიანტის სტატუსი - შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის მიერ გაცემული ცნობა რეპატრიანტის სტატუსის შესახებ.
- ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლის კურსდამთავრებულებმა - სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

1.7.4. შემოსულ დოკუმენტაციას განიხილავს უნივერსიტეტის პრეზიდენტი, ფინანსური დეპარტამენტის დირექტორისა და ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში ვიცე-პრეზიდენტის მონაწილეობით, რის შემდეგაც განისაზღვრება სტუდენტ(ებ)ი, რომელიც/რომლებიც სოციალური სტატუსის საფუძველზე ისარგებლებენ სწავლის სპეციალური საფასურით, ასევე თითოეული სტუდენტის შემთხვევაში, სამიზნე ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობები;

1.8. უნივერსიტეტის თანამშრომელთა და მათი ოჯახის წევრთათვის:

უნივერსიტეტის თანამშრომლებს და მათი ოჯახის წევრებს შეუძლიათ ისარგებლონ სწავლის საფასურის შეღავათიანი პირობებით, კერძოდ სწავლის საფასურის განახევრებული ოდენობით.

1.9. უნივერსიტეტის კურსდამთავრებულისთვის, თუ იგი ჩააბარებს უნივერსიტეტის ზედა საფეხურის პროგრამაზე.

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულთათვის მოქმედებს სწავლის სპეციალური საფასური. კერძოდ, თუ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული ჩააბარებს უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამაზე ან თუ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ჩააბარებს უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამაზე, სტუდენტი გადაიხდის სწავლის საფასურის 90%-ს.

1.10. სხვა ინდივიდუალურ შემთხვევებში.

2. სახელმწიფო გრანტის მფლობელი სტუდენტების მიერ, სწავლის სპეციალური საფასურით სარგებლობის დროს, დადგენილი წესის შესაბამისად, კალკულაცია ხდება სწავლის საფასურიდან, რომელიც რჩება სახელმწიფო გრანტის თანხის გამოკლების შედეგად.

მუხლი 3. სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები

1. სწავლაში ხელშეწყობისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტი (მისი შესაბამისი სკოლა/სკოლები) აწყობს აბიტურიენტთათვის სხვადასხვა სახის კონკურსებს და კონკურსის გამარჯვებულთათვის აწესებს შესაბამის პრიზებს. კერძოდ, კონკურსში I, II და III ადგილზე გასული აბიტურიენტი/გუნდი იღებს სასწავლო ვაუჩერს, რომლის გამოყენებასაც პირი შეძლებს კავკასიის უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე. ვაუჩერის ოდენობა თითოეული კონკურსისათვის და მისი გამოყენების პირობები განისაზღვრება უნივერსიტეტის პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებით.

2. უნივერსიტეტში მოქმედებს სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სისტემა. კერძოდ, სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ სემესტრული გადასახადის დაფარვა უზრუნველყონ მათთვის სასურველი და უნივერსიტეტთან შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად.

3. კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტმა შესაძლებელია მიიღოს დაფინანსება სასწავლო, კვლევითი და/ან პრაქტიკული უნარების განმავითარებელი აქტივობისთვის საერთაშორისო და/ან ადგილობრივ დონეზე. დასაფინანსებელი აქტივობების კლასიფიკაცია, შეფასების კრიტერიუმები და სხვა საკითხები რეგულირდება კავკასიის უნივერსიტეტში დამტკიცებული „სტუდენტების საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა უნარების განმავითარებელი ინიციატივების შიდასაუნივერსიტეტო დაფინანსების/თანადაფინანსების წესით“.